ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 6023297001**

თარიღი:**24/10/2023**

ხონის მუნიციპალიტეტის ქ.ხონის ბარათაშვილის ქუჩა N5-ში მცხოვრები მოქალაქე ზაზა ომანაძის ეზოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ცოფის დაავადებაზე არაკეთილსაიმედოდ გამოცხადებისა და შემზღუდველი ღონისძიებების დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე'' ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,ვეტერინარიის შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის N348-ე დადგენილების და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის 2023 წლის 20 ოქტომბრის N02 234 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ცოფის დაავადებაზე არაკეთილსაიმედოდ ხონის მუნიციპალიტეტის ქ.ხონის ბარათაშვილის ქუჩა N 5-ში მცხოვრები მოქალაქე ზაზა ომანაძის ეზო და მისი მიმდებარე ტერიტორია (არაუმეტეს 3 კმ. რადიუსში, სადაც აღმოჩენილი იყო დაავადებული ცხოველი) და დაწესდეს შემზღუდავი ღონისძიებები.

2. დაევალოს ქ. ხონის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს (ო.ჯაფარიძეს) მერიის შესაბამის სამსახურებს უზრუნველყონ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონულ სამსახურთან ერთად კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

3. ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა (ლ.გოფოძე) უზრუნველყოს დასნეულებულ ცხოველთა კონტაქტში მყოფ პირთა მიმართ, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის განხორციელება და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

4. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს მერის მოადგილეს მანანა გოფოძეს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია,ძმები ნინუების ქუჩა N1).

6. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი